

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2017 წლის 26 იანვრის
№ 34 დადგენილებით



მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) წარმოადგენს აგრარულ სფეროში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერის ერთ-ერთ ღონისძიებას, რომლის ფარგლებში მონაწილეს სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსგან (შემდგომში - სააგენტო) გრანტის სახით გადაეცემა ღვინის საწარმოსათვის განკუთვნილი აღჭურვილობა, ხოლო მონაწილე უზრუნველყოფს საწარმოსათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის აშენებას/რეკონსტრუქციას.

2. პროგრამის მიზანია:

ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში მევენახეობის განვითარების ხელშეწყობა;

ბ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული ყურძნის გადამამუშავების ხელშეწყობა;

გ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფარგლებში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ყურძნის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოების ჩამოყალიბების სტიმულირება;

დ) წარმოებული ღვინის ხარისხის გაუმჯობესება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

ე) სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება.

3. პროგრამის ამოცანებია:

ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მოწყობილობებითა და დანადგარებით აღჭურვისათვის კაპიტალური ინვესტირების განხორციელება და ტექნიკური მხარდაჭერა;

ბ) ღვინის წარმოების ხელშეწყობა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 2. პროგრამის განმახორციელებელი

1. პროგრამის განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

2. პროგრამის განმახორციელებელია სააგენტო.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ პროგრამაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი** – იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას და რომელსაც „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი;

ბ) **პრეტენდენტი** - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც პროგრამაში მონაწილეობის მიზნით წარადგენს განაცხადს;

გ) **მონაწილე** - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელთანაც გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება;

დ) **წინარე ხელშეკრულება** - მონაწილესთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში

კაპიტალური ინვესტირებისა და ტექნიკური მხარდაჭერის მიღებამდე მონაწილისა და სააგენტოს მხრიდან შესასრულებელ ვალდებულებებს;

ე) **კაპიტალური ინვესტირების ხელშეკრულება** - მონაწილესთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში კაპიტალური ინვესტირების მიღების შემდეგ მონაწილისა და სააგენტოს მხრიდან შესასრულებელ ვალდებულებებს;

ვ) **აღჭურვილობა** - ამ პროგრამით გათვალისწინებული ყურძნის მიღების, გადამუშავებისა და შენახვისათვის საჭირო შესაბამისი მოწყობილობები და დანადგარები;

ზ) **ვენახი** - ვაზის ნარგაობა;

თ) **ფორსმაჟორი** - დაუძლეველი ძალა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი და სხვა გარემოება რომელთა წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება აღემატება გონივრულ კონტროლს და შესაძლებლობებს.

მუხლი 4. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად დადგენილი პირობები

1. პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ იმ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომლებიც პროგრამაში მონაწილეობის განაცხადის წარდგენისას აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

ა) „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი;

ბ) განაცხადის წარდგენისას სააგენტოსაგან არ აქვთ მიღებული რეკომენდაცია საქმიანობაში ხარვეზის გამოსწორების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კოოპერატივს მსგავსი რეკომენდაცია მიღებული აქვს და განაცხადის წარდგენამდე აღმოფხვრილია აღნიშნული ხარვეზი;